წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტი ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი [illegible] ტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 458 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 458

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე იოსებ ეგნატეს ძე ვაშაკიძე, დედა ეკატერინე ქაიხოსროს ასული რაფალსკისა, ძმა ტიმოთე ათანასეს ძე რაფალსკი, რძალი ტატიანა რაფალსკისა, დედამთილი ალათი გრიგოლის ასული ვაშაკიძისა, მულები ნადია ეგნატეს ასული ვაშაკიძე და კესარია ეგნატეს ასული გუგუშვილისა, მაზლი გიორგი ეგნატეს ძე ვაშაკიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა უსაყვარლესი

## ალექსანდრა (საშა) ათანასეს ასული ვაშაკიძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს—13 ოქტომბერს $2^1/_2$ საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გოსპიტლის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 6. კერძო წერილები არ დარიგდება.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

### ის იყო ქალიშვილი თავისუფლებისა.

საუკეთესო ფრანგ მსახიობთა მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული

**ავტომობილები, როგორც სამხედრო სავალე ჰოსპიტლები.**

გადაღებულია ნამდვილიდან.

**ქარაფშუტა ცოლ-ქმარნი.**

სახუმარო.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 13 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

**ვარშავის შარა გზაზე**

ვარშაველ აპაშების (ქალაქების ყაჩაღები) ცხოვრებიდან აღებული დრამა 4 ნაწ. ვასილევსკაიასა და ჩაპელსკის მონაწ.

სახუმარო **ბანკირის ცოლი.** სახუმარო

ახლო მომავალში ქ-ნ კარალლის, ბ-ნ კოლონსკისა და პერესტიანის მონაწილეობით წავა: „სიყვარულის ქარიშხალი“.

---

## გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—3 დღ. გამ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივნდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დიდიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**ავტომობილები, როგორც სამხედრო სავალე ჰოსპიტლები.**

გადაღებულია ნამდვილიდან.

### ნეაპოლიტანელი ქალის შურის მიება.

მხატვრული დრამა 4 ნაწილად ცნობილ იტალიელ დამაზ ქალის ფრანჩესკა ბერტონის მონაწილეობით.

კომიკური **ამერიკელ მონადირის განსაცდელი.** კომიკური.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 13 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება მხიარული ფარსი:

**ტელეფონის შემწეობით ჯვარის წერა.**

**პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

ახლო მომავალში მოზჟუხინის მონაწილეობით წავა „შუბიანი ქალი“ (ПИКОВАЯ ДАМА).

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 ოქტომბერი. ვიძის (დრისვიატის ტბის სამხრეთითაა) ჩრდილოეთით ჩვილ ალაგში მტრის საფრენი დაეშვა. ქ. ბროდის ჩრდილოეთით მდ. ბოლდურვას (მდ. სტრის ერთვის) გადმოლახვას ცდილობდა მტერი, მაგრამ ჩვენ სროლით განვდევნეთ. მდ. ნარაიუვკაზე სვისტილნიკსა და სკორშოროხთან ბრძოლა განელდა. დანარჩენ ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 ოქტომბერი უმაღ. მთავ. შტაბისაგან. ჯარის მთელ ბრძოლის პირზე სროლა და მზვერავთა მოქმედება სწარმოებს.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 9 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. მდ სომმას სამხრეთით ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელებმა წინა დღეს ჩვენ მიერ დაპყრობილ შონის ტყის სამხრეთ ნაწილზე იერიში მოიტანეს. გერმანელები დიდად დავაზარალეთ, მოვიგერიეთ და ტყვეებიც დავატოვებიეთ. ტყვეთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. დღეს იმავე ალაგას გერმანელებმა კიდევ მოიტანეს იერიში; მკაცრი ბრძოლა მოხდა; გერმანელები ის იყო შემოვიდნენ ჩვენ თხრილებში, რომ ჩვენ ალყა შემოვარტყით მათ და 150 ცოცხლად გადარჩენილი კაცი დავატყვევეთ. დანარჩენ ასპარეზზე დრო და დრო ზარბაზნების სროლაა.

**ჰავრი.** 9 ოქტომბერი. ბელგიის ოფიციალი. არტილერიის ჩვეულებრივი მოქმედების გარდა საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ლონდონი.** 9 ოქტომბერი. დილის ოფიციალი. გუშინდელი ჩვენი იერიში ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა, 800 კაცზე მეტი დავატყვევეთ და კიდევ მოყავენ ტყვეები; ჩვენი ზარალი, როგორც სჩანს, მცირე უნდა იყოს. ჩვენ მიერ აღებულ ადგილებზე მტერს იერიში აღარ მოუტანია.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 9 ოქტომბერი. იტალიის მთავარი ბინის ოფიციალი ცნობა. პაზუბის მთაზე მოქმედებას ძალიან აბრკოლებდა თოვლი და ბურუსი, მიუხედავად ამისა როიტასთან წინ წავიწიეთ და დავატყვევეთ 32 საიმპერატორო ივგერი, მათში ერთი აფიცერი იყო. ლაგაუზისა, ტრავენაცის და ბოიტეს კალთებზე ჩვენი ალპიელი მსროლელები მტრის პოზიციას გარს შემოერტყნენ და მცველები დახოცეს; მათგან გადარჩენილი 18 კაცი მრავალი იარაღით, ტყვიაწამალით და სხვა მასალით დავატყვევეთ. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**რომი.** 9 ოქტომბერი. იტალიის მთავარ ბინის ცნობა. გუშინ დიდი თოვლი მოვიდა, რის გამოც ჩვენ მხოლოდ ზარბაზნები დავუშინეთ და დავზვერეთ მტერი. ჩვენი ჯარი პოზიციებს ამაგრებდა.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 ოქტომბერი. უმაღ. მთავარსარდ. შტაბისაგან. ჩრდილო და სავლეთის ბრძოლის პირი. მდ. ტროტუსისა, ოიგუზისა და სლანიკის ველებზე რუმინელებმა მოწინაალმდეგეს შეუტიეს და ოდნავ უკან დაახევინეს. დასავლეთის საზღვარზე, მოლდავიაში რუმინელთათვის სასარგებლო მედგარი ბრძოლები გრძელდება. დობრუჯაში მტრის ძალდატანებით ჩვენი და რუმინიის ჯარი უკან იხევს და მოწინაალმდეგეს დიდ წინააღმდეგობას უწევს.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**კორფუ.** 9 ოქტომბერი. სერბეთის მთავარი შტაბის ცნობა. 7 ოქტომბერს მთელ ბრძოლის პირზე სასტიკი ომი სწარმოებდა. ბოლო ხანს აქ გერმანელები გამოჩნდნენ. ჩვენ დავატყვევეთ 1 აფიცერი და 50 გერმანელი და ბულგარელი ჯარის კაცი.

**ლონდონი.** 9 ოქტომბერი. ბრიტანიის ოფიციალი ცნობა სოლუნიდან. ცუდი ამინდის გამო მთელ ბრძოლის პირზე მხოლოდ მოდარაჯე რაზმებს უხდებოდათ მტერთან ბრძოლა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. გუშინ შვაბენისა და ლაზარის შორის მომხდარ ბრძოლების დროს დავატყვევეთ 1000 კაცი, მათში 16 აფიცერია. დღეს დილით იპრის სამხრეთით მოწინააღმდეგემ ორი ნაღმი ააფეთქა და ორმოს ნაწილი დაიპყრო; ჩვენ ზარბაზნებს განუწყვეტლივ ვუშენდით. გუშინდელ ბრძოლების დროს ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბატარეები აღმოაჩინეს, ხუთი საფრენი ძირს ჩამოაგდეს, ხოლო ოთხი აიძულეს ძირს დაშვებულიყო. ჩვენ 3 პაეროპლანი გვაკლია.

**ინგლისზე ჰაეროპლანების თავდასხმა.**

**ლონდონი** 9 ოქტომბერი. ოფიციალი ცნობა. 1 საათსა და 45 წამს დიდ სიმაღლეზე გერმანელთა ჰაეროპლანები გამოჩნდნენ და ოთხი ყუმბარა ჩამოაგდეს; 3 ნავთსადგურს დაეცა, ხოლო ერთი—რკინიგზის სადგურს და რამდენიმე ვაგონი დააზიანა. ბრიტანიის საფრენები ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ წასულ მტერს უკან დაედევნა. დახოცილთა და დაჭრილთა შესახებ ცნობები არ მოსულა.

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. საამირაბასო იუწყება ერთმა ჩვენმა საზღვაო საფრენმა მტრის საფრენი ჩამოაგდო. როგორც ეტყობა ამ საფრენს მონაწილეობა უნდა მიეღო გუშინდელ თავდასხმაში ინგლისზე.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის მომხრე საბერძნეთის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ მოკავშირეებმა სასტიკ ღონისძიებათ მიმართეს. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს განსაკუთრებით სახეში ჰყავთ: საგარეო მინისტრად ნამყოფი გეორგ სტრეიტი, გენ. დუსმანისი და გენერალურ შტაბის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი მეტაკროსი.

—

ქალაქი ათინა თანდათან მოკავშირეთა ჯარით ივსება. 500 მეზღვაური 2 დღის განმავლობაში უკვე ქალაქის შენობებში დაბანაკეს.

—

ცნობილ „რეზერვისტების ლიგის“ მოქმედება გრძელდება და იარაღით ხელში დიდ უსიამოვნებას აყენებს საბერძნეთში შესულ მოკავშირეებს. როცა მოკავშირეთა ჯარი ათინაში შედიოდა, რეზერვისტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს და რამდენიმე ვენიზელოსტი დასჭრეს. საბერძნეთის მთავრობას ხელი არ უხლია რეზერვისტებისათვის და პოლიცია კი იმ ადგილებს, სადაც დემონსტრაციები მოხდა, სრულიად გაშორდა.

—

იმ გარემოებას, რომ მეფე კონსტანტინემ ქ. ლარისაში ჯარი და იარაღი გაგზავნა, ხოლო ლარისის სასახლე გაამაგრა, შემდეგ ნაირად ხსნიან:

მეფე კონსტანტინე ან მოკავშირეებს უნდა დამორჩილებოდა სრულიად, ან გვირგვინი მოეხსნა, ან და ლარისაში წასულიყო და ერთგულ ჯარის შემოწმებით თავი დაეცვა.

მეფეს უკანასკნელი ღონის ძიება აურჩევია, მაგრამ მოკავშირეთა ჯარმა ხელი შეუშალა.

—

მთელი ქვეყნის ყურადღება მიიჯაჭვა რუმინეთზე, ავსტრო-უნგრეთის გერმანეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის ჯარები გარს შემოერტყენ მას სამი მხრიდან, რუმინეთის ჯარები მათ ტრანსილვანიიდან ვალახიაში გადარეკეს. იერიში მიაქვთ სამი მხრიდან: ვალახიიდან, მოლდავიიდან და დობრუჯიდან რუმინეთის საზოგადოება და პრესა შიშის ზარმა მოიცვა. ისინი ერთხმათ მოითხოვენ საჩქარო დახმარებას მოკავშირეთაგან.

—

რუმინეთის წინააღმდეგ ბრძოლა შუმსკის აზრით--ისე გაფართოვდა რომ ბუკოვინის ასპარეზიც აახმაურა. გერმანელებს განზრახვა აქვთ რუმინეთის დამარცხების

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ბროდის ჩრდილოეთით გერმანელები მდ. ბოლდურკაზე გადმოსვლას ლამობდნენ, მაგრამ რუსებმა ხელი შეუშალეს. სვისტილნიკთან და სკორომოროხთან ბრძოლები დაცხრა.

**კავკასიის ასპარეზი.** ზოგ ალაგას ზარბაზნების სროლაა, ზოგგან კი მზვერავ რაზმების მოქმედებაა აღსანიშნავი.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმის სამხრეთით შონის ტყეზე გერმანელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს; ფრანგებმა პოზიციები შეინარჩუნეს; გერმანელები აქ საგრძნობლად დაზარალებულან. მოკავშირეთა მფრინავებმა 5 გერმანული საფრენი ჩამოაგდეს, ხოლო თოფით კი 3 საფრენი დაჰკარგეს.

**იტალიის ასპარეზი.** პაზუბის მთაზე იტალიელებმა, მიუხედავად დიდი თოვლისა და ბურუსის, წინ წაიწიეს. ლაგაუზის მთის კალოებზე იტალიელებმა ავსტრიელთა ერთი რაზმი ერთიანად გაანადგურეს.

**რუმინიის ასპარეზი.** ტროტუსისა, ოიგუზისა და სლანიდის ველებზე რუმინელთა ძალდატანებით ავსტრიელებმა ოდნავ უკან დაიხიეს. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე მედგარი ბრძოლები სწარმოებს. დობრუჯაში რუსისა და რუმინელთა ჯარი უკან დახევას განაგრძობს.

**მაკედონიის ასპარეზი.** სერბიელთა ბრძოლის პირზე ბრძოლა განახლდა. დანარჩენ ასპარეზზე უამინდობა ბრძოლებს ხელს უშლის.

**ზღვაზე.** გერმანელი მფრინავები ინგლისის სანაპიროს თავს დასხმიან; ინგლისელებს ერთი გერმანული საზღვაო საფრენი ძირს ჩამოუგდიათ.

---

შემდეგ ფალკენჰაინის ჯარებმა ხელი გაუწოდენ ბუკოვინა-გალიციის მომქმედ ჯარებს ერთის მხრით და მეორე მხრით მაკენზენის არმიას.

ჰინდენბურგს აზრათ ჰქონია რომ მთავარ ასპარეზებზე გამაგრდეს და მოგერიებითი ომი აწარმოოს, იქიდან ჯარები მიაშველოს და ბალკანეთის ასპარეზზე გადამწყვეტი ბრძოლა დაამთავროს. ამით მას სურვებია რუმინიის დასჯა, ბერლინ-კონსტანტინოპოლის რკინის გზის უზრუნველყოფა და საბერძნეთზე გავლენის მოხდენა რომ იგი არ მიემხროს მოკავშირეებს. შემდეგ ბუკოვინა გალიციის განთავისუფლება ჰქონა აზრათ. ამას რომ მორჩება ზამთარში დასვენება და საგაზაფხულო ომებისათვის მზადება ჰქონია ფიქრათ. დიდი გეგმა ჰქონია მას თუ კოჭზი ნაცარში არ ჩაუვარდა.

## სამხედრო მიმოხილვა.

ცენტრალ კოალიციის ჯარების შეტევა რუმინიის წინააღმდეგ გრძელდება.

ეს ორი სამი დღეა, რაც მთავარ სარდლის შტაბი გვატყობინებს: „დობრუჯაში ბულგარელთა ძალდატანებით ჩვენმა და რუმინიის ჯარმა უკან დაიხიაო".

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცნობებში არ არის აღნიშნული: არც ადგილი, სადაც ეს დახევა ხდება და არც მანძილი, რომელიც უკან დახეულებმა გამოიარეს, — ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბულგარელების შეტევა ძალუმად სწარმოებს და არა ერთ რომელიმე პუნქტში დობრუჯის ბრძოლის პირისა, არამედ მთელ ხაზზე მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირიდან შავი ზღვის კიდემდე.

გუშინდელი დეპეშა გვამცნებს: რომ რუსები და რუმინელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ბულგარელთ; მაშასადამე ბრძოლებიც დიდი და დაუზოგველი უნდა სწარმოებდეს. დობრუჯის ბრძოლის პირი მაკენზენის პირველი შეტევის დროს ძლიერ შემოკლდა, რამაც ერთობ შეუმსუბუქა ბულგარელებს მოქმედება, რადგანაც იქ, სადაც მოწინააღმდეგის ფრთების შემოვლა შეუძლებელია და მხოლოდ პირის პირ შეტევა სწარმოებს ამა თუ იმ მხარისათვის ბრძოლის პირის შემოკლება აუცილებლივ საჭიროა, რათა უფრო შეჯგუფებულ ძალებით აწარმოვოს შეტევა. გენ. მაკენზენის შეტევის შემდეგ დობრუჯის ბრძოლის პირი 60-70 ვერსს უდრიდა, ხოლო, რადგანაც დუნაისა და შავი ზღვის შუა მდებარე მიწაწყალი ჩრდილოეთისაკენ თან და თან ვიწროვდება, ამიტომ რამდენათაც ბულგარელები წინ წაიწევენ, იმდენათ ისინი ბრძოლის პირს შეამოკლებენ და მოქმედებას გაიადვილებენ.

ვიწრო ბრძოლის ასპარეზი განსაკუთრებით იმიტომაა ხელსაყრელი ბულგარელებისათვის, რომ მათ წინსვლას აწარმოვებს გენ. მაკენზენი, რომელიც პირისპირი შეტევის სამაგალითო მწარმოებლად ითვლება; საკმარისია გავიხსენოთ მისი შეტევა მარშანწინ ლოძთან და მისი შემდეგი წინსვლა გალიციით, სადაც თავის სახელოვან „ფალანგების" და მრავალ რიცხოვან არტილერიის წყალობით პირდაპირ შეუძლებელი გახადა რუსებისათვის თვის დაცვა და მთელი გალიცია დაიპყრო.

თავის ჩვეულებრივ ტაქტიკას ადგია მაკენზენი დობრუჯაშიაც და, რამდენიც ბრძოლის ხაზს წინწაწევით შეამოკლებს, იმდენი მდგომარეობას გაიუმჯობესებს.

მაგრამ ეჭვი არ არის რუსეთში, რომლებიც ყველა სხვა მოკავშირეებთან შედარებით უფრო ახლო არიან რუმინეთთან, დროზე გაგზავნიან დობრუჯაში მაშველ ჯარს და ეცდებიან ბულგარელთა შეჩერებას; ამის გამოისობით სულ ორიოდ დღეებში დობრუჯაში დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი, რომელნიც თავის სიმკაცრით და სიძლიერით არც დუნაეცის და არც ვერდენის ბრძოლებსარ ჩამოუვარდებიან.

შვერელი.

## ვნახოთ!

გვარწმუნებენ, რომ სომხები ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას აპირებენ და ამისთვის საჭირო პირობებს აწყობენო. საზოგადოებაში ამ საგანზე სხვადასხვა აზრი არსებობს; ზოგის ფიქრით სომხებისთვის ეს ერთგვარი საშუალებაა მათი პოლიტიკური იდეალის განსახორციელებლათ, ზოგი კი ამტკიცებს, რომ ეს განზრახვა სულ სხვა შედეგს მოიტანს, ვიდრე სომხებსა ჰგონიათ, რადგან მათი გამოცდილება და ერთგვარი ოსტატური მოქცევა სხვადასხვა საქმეებში აქ არ გამოდგებაო.—ასეა თუ ისე ეს ფაქტი თავის თავად საყურადღებოა და ჩვენც ამ გარემოებას ერთგვარი ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ეჭვს გარეშეა, რომ იმ გაზეთით, რომელიც ქართული ასოებით სომხურ შინაარს გამოაქვეყნებს, სომხებს სურთ მოინადირონ ქართველი გრიგორიანები, რომელთა მდგომარეობა, მართლაც, უცნაურია. სულით და ხორცით ქართველ კაცს სომხურათ ალოცებენ, დაჟინებით ეუბნებიან სარწმუნოებითაც და ეროვნებითაც სომეხი ხარო, სომხური ენა რომ არ იცი, ეს არაფერიაო; გვარები გადაუკეთეს, სომხურ აზრებს აწვდიან, თვალს უხვევენ და ხელოვნურათ გასომხებას უპირებენ. რა თქმა უნდა ამგვარი პროპაგანდისათვის ძლიერ საჭიროა სომხური გაზეთი ქართული ასოებით დაბეჭდილი. დიახ, საჭიროა, მაგრამ ახლა ის წარმოვიდგინოთ, რა იქნება ეს გაზეთი და რა გავლენა ექნება მას?

რა კვალს დააჩენს ის ცხოვრებაში და რა ფასი დაედება მის არსებობას?

დღეს საქვეყნოდ გამორკვეულია, რომ სომხები ჩვენში უკუღმართ პოლიტიკას აწარმოებენ,

ეროვნულმა შუღლმა პროფესორ პატკანოვს სიყალბე მეცნიერების სფეროშიც კი შეატანია. *) რაც ძველათ იყო დღესაც იგივეა; ნაცად გზას სომხები არ შორდებიან.

რა შედეგი მოჰყვება ასეთ პოლიტიკას?

ჩემის ღრმა რწმენით—დამარცხება და არა გამარჯვება.

ამას მალაპარაკებს ღრმა რწმენა ისტორიულ საბუთებზე დამყარებული და არა პატრიოტული გრძნობა. ისტორია მოწმობს, რომ ამგვარი ხელოვნური, თვალთმაქცური პოლიტიკა, ყოველთვის დამარცხებით თავდება. ათი და ასი წლით რომ შეინახოს ერმა თავისი უკუღმართობით შეძენილი ქონება და უსამართლობაზე აგებული ძალა, შემდეგ ერთი მომენტი მაინც დაარღვევს, და ეს კი სულ ერთია ამ მომენტს, რომელი ისტორიული ფაქტორი გამოიწვევს. ეს ასე ხდება, რადგან გონებრივი კულტურა ყოველთვის ბუნებრივი მიმდინარეობით მტკიცდება და არა ხელოვნურად შექმნილი საშუალებით. იქ, სადაც იდეური ბრძოლაა, იქ, სადაც ეთნოგრაფიული და სულიერი სხვადასხვაობა არის დასამორჩილებელი და გარდასაქმნელი—ჯამბაზობა არ გამოდგება. უსამართლობა, ღალატს, თვალთმაქცობას და სხვა სიბოროტეს, შეუძლია ჭეშმარიტება დროებით დაჩრდილოს და დაფაროს, მაგრამ მისი მოსპობა და გაქარწყლება შეუძლია. იდეურ ბრძოლაში არც ფიზიკურ, არც პოლიტიკიურ ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ტყვია წამალი და ოქროვერცხლი ჭეშმარიტების საწინააღმდეგო იარაღად არ ვარგა. ჭეშმარიტების მჯობნე ძალა არ არსებობს და მიტომაც მასთან ბრძოლა ყოველთვის უნაყოფოა. ამ დებულების შესახებ ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა ერთი ბრძენის აზრი: როდესაც ქრისტიანობა შესამჩნევად გავრცელდა, სინედრიონი შეიკრიბა და გადასაწყვეტად გადაჭრით შემდეგი საკითხი დააყენა:

„რა ზომა მივიღოთ ქრისტიანობის წინააღმდეგო?" სინედრიონის წევრთა შორის იჯდა ბრძენი გამალიილი, რომელმაც შემდეგი საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა: „სრულიადაც ნუ ვავნებთ ... ქრისტიანობას, ვინაიდგან თუ ქრისტიანობა ჭეშმარიტებაა, ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებს და რაც უნდა ვედავოთ, ის მაინც გაიმარჯვებს", და თუ იგი ჭეშმარიტება არ არის—თავის თავად დაინგრევა და ჩვენის მხრით ბრძოლა და სისხლის ღვრა სრულიად ზედმეტი არისო. გამალიილის აზრი სრული ჭეშმარიტება იყო და ისტორიამ კიდეც დაამტკიცა. მართლაც ასეა: ჭეშმარიტება მაშინაც კი იმარჯვებს, როცა მას ეწინააღმდეგებიან და ტყვია წამლით უმასპინძლდებიან, პირიქით სიყალბე მაშინაც კი ისპობა, როცა მას ხელოვნურათ ამაგრებენ და არ ეწინააღმდეგებიან. დიაღ, ისტორია დიდი გონიერი და გამოცდილი მასწავლებელია, ვინც ისარგებლებს მისი დარიგებით, ვინც ფაქიზი სინიდისით და წრფელი გულით ისმენს მის გაკვეთილებს.

რას დასწერენ სომხები თავის გაზეთში ქართული ასოებით? თუ ყველაფერი მართალი დასწერეს და თავისი ნამდვილი პოლიტიკა გამოამჟღავნეს, ეს იქნება მათივე თავის გამტყუნება, თავისი ხელით თავის გამათრახება, მაგრამ ამას ისინი არ იზამენ, რადგან ასეთი მიმართულება მათ არ შეფერისთ. თუ სიყალბე დასწერეს და მას სარჩულად თვალთმაქცობა და ფარისევლობა დაუდევს—ეს ჩვენი მხრით გამოიწვევს სასტიკ მხილებას, რაც ჩვენთვის უფრო სადღეისოც იქნება, რადგან ქართველი მკითხველი მათ განზრახვას გაიგებს. ამის შემდეგ მათ სიყალბეს გასავალი არ ექნება და რაც ზედმეტ გამწვავებას არ გამოიწვევს, მათთვის სასარგებლო შედეგს არ იქონიებს.

ცხადია, ქართული ასოებით დაბეჭდილი სომხური გაზეთი უკანონოდ იბადება, ხელოვნურად შექმნილ პირობებში ჩნდება, ყალბ ნიადაგზე სურს აღმოცენდეს და ჭეშმარიტების წინააღმდეგობა მიზნათ დაისახოს.

განა ასეთი რამ გაიხარებს? განა ასეთ რამეს კარგი დღე მოელის? არა და არა. ვნახოთ, რას გვეტყვის სინამდვილე!!!

ტრიფონ ჯაფარიძე.

*) Я. Гогебашвили. ,,Правда о Тифлисѣ".

*) დ. ბაქრაძე. „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის მასალები". ი. ჭავჭავაძე. „ქვათა ღაღადი".

## პატარა შენიშვნა.

(,,თან. აზრის" და მისი თანამშრომლის თ—ლი მეშის საყურადღებოთ.)

ჯერ მსოფლიო ომის გამოცხადებამდეც რუსეთში და ჩვენშიაც მუშათა გაზეთები განიცდიდენ დიდ ნივთიერ გაჭირებას, რის გამოც მუშათა ხელმძღვანელმა წრეებმა დაადგინეს წელიწადში ერთხელ მუშათა გაზეთების სასარგებლოთ

---

***

სოფლის მოკირწყლულ შარა-გზაზე თავ ჩაკიდული

მე მივდიოდი მწარედ, მწარედ დაფიქრებული.
რადაცას ვწუხდი, რადაცაზე მიკვნესდა გული,
და არ მაცხენდა ბავშვი გიჟი, აღქაფებული.

— —

დიდი უდაბნოც,—შემოქმედის—იდგა მდუმარედ,
არ ერტყა ირგვლივ წმინდა ძმათა წმინდა კრებული,
დახავსებული დაჰყურებდა ჭალებს მწუხარედ
და იყო რადაც დაღვრემილი დაფიქრებული.

— —

აგონდებოდა შორეული ტკბილი წარსული,
აგონდებოდა წმინდა რწმენით აღვსილი ხალხი,
აგონდებოდა მშვენიერი მეფე, ასული...
ვის სიკვდილს შემდეგ საქართველოს ჩაიცვა თალხი.

— —

აგონდებოდა მტერთა გროვა, მათგან დარბევა,
აგონდებოდა ქართველების ბრძოლა ქებული,
მტერთა განდევნა, დამარცხება, მათი გაქცევა
და სამშობლო კი, მუდამ მათზე გამარჯვებული.

— —

აგონდებოდა და უკვირდა ძველის-ძველ კედლებს
რადა სდუმს ხალხი, როცა ირგვლივ არტყია მტერი,
რად არ ეძახის მამაც გმირსა, ბედისა მჭედელს,
თუ დაუკარგა რაც ებადა, სულ ყველაფერი?

— —

წმინდა ტაძარი დღეს გაჭრათა ბინად გამხდარა
ვგლეხ მას სცდილობს, რა წაიღოს, ან რა ირგუნოს,
ხალხი მებრძოლი მოტყუებით სხვისთვის გამხდარა
და ბრძოლის ჰანგი, აბა, ვინღა დაიგუგუნოს?!

— —

ფიქრობს .. და ფიქრით იღრუბლება მისი კედელი,
ხავსი ედება, ქვა ემლება, ეტეხება ძელი,
არსად არა სჩანს ხალხის ბედის გამომჭედელი,
არვინ არის ჩვენი შემწე, ჩვენი დამხსნელი...

— —

იქნებ დუმილით ხალხის სულში მტკიცდება გრძნობა,
იქნება მიხვდეს, ვინც წაართვა ყოფნის უფლება?
იქნებ დასთურგნოს მტრის ბედი, მოსპოს მან მტრობა,
და კვლავ გამეფდეს ქვეყნად ძმობა, თავისუფლება?!

სათო მგელაძე.

ს. შემოქმედი.

---

## კოლონიზაცია საქართველოში.

თუ როგორ უხუთავს სულს ქართველ გლეხკაცობას მიწის სივიწროვე საქართველოში ეს ისე ნათელია, რომ ამას ყველა ხედავს. ამ მოვლენას სამი მიზეზი აქვს პირველი და უმთავრესი ის, რომ რუსეთის ბიუროკრატიამ დღიდან საქართველოში დამყარებისა ქართველების სისხლით და ოფლით გაპოხიერებული ქართველთა მიწაწყალი საეკლესიო ქონების და სხვადა სხვა სადაო და საშარო დებულებათა სახით, სახაზინოთ აქცია. მეორე ისა, რომ სომხის ბურჟუაზია ყოველგვარის ხრიკებით ცდილობდა და ცდილობს ქართველ ფეოდალთა მამულები ხელიდან გამოაცალოს მის ბუნებრივ მემკვიდრეს ქართველ გლეხკაცობას და მესამე კი ისა რომ გასული საუკუნის განმავლობაში ქართველობა ერთიორათ გამრავლდა.

და აი ქართველი გლეხკაცობის ამ ბუნებრივი მოვლენისათვის, გამრავლებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევის ნაცვლათ რომ ქართველთა მიწაწყალი მათვე ჰქონოდათ რუსეთის ბიუროკრატია გასულ საუკუნის პირველი მეოთხედიდან დაწყებული გზას უხსნის ოსმალეთიდან მოდევნილ სომხის გლეხკაცობას რომლებითაც აავსო ალმოს. საქართველოს რამდენიმე მაზრა. იგივე ბიუროკრატია არ სჯერდება ამას და შიდა გუბერნიებიდან ასახლებს ჩვენს ქვეყანაში მკვიდრ რუსებს ყოველივე ეს მთავრობას სჭირია თავის ეროვნულ სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლათ მაგრამ თუ რამდენათ სამართლიანი და მიზან შეწონილია, თვით სახელმწიფოს ინტერესებისათვის ამას არავინ უწევს ანგარიშს.

ამ საგნის შესახებ გაზ. საქართველოში დაიბეჭდა ბ—ნ გ. ვეშაპელის წერილი „კოლონიზაცია" საქართველოში. წერილი იგი იმდენათ საინტერესოა, რომ მოგვყავს სრულიათ:

„უცხოელები ნიადაგ ეტანებოდნენ საქართველოს მიწა წყალს; ძველადგან ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი შავი ზღვის ქართული ნაპირი; მეთექვსმეტე საუკუნეში ასი ათასი თურქ-თათარი ჩაასახლა შაჰ-აბაზმა აღმოსავლეთ საქართველოში...

რუსთა ახალშენები შედარებით ახალი ხილია, მას არც ასი წლის სიძველე აქვს; რუსი ყაზახები, რომელთაც სტიქიურმა კოლონიზაციამ დაუფლო იმპერიას ჩრდილო კავკასია, ალღოთი ერიდებოდნენ კავკასიის ქედის ბუნებრივ კედლის აქეთ გადმოსვლას... საქართველოს და რუსეთის შეერთების შემდეგ თვით რუსეთის სახელმწიფო იწყებს ზრუნვას ამიერ კავკასიის კოლონიზაციაზედ. ეკატერინე მეორე ახალი ქალაქის აშენებასაც კი ჰფიქრობდა იმ ადგილს, სადაც მტკვარი არეზს ერთვის.

„1818 წელს საქართველოში პირველად ჩამოასახლეს რუსი მწვალებლები, სექტანტები; სამოციან წლებში, თავად ვარანცოვის დროს „დუხობორები" ჩამოასახლეს ჯავახეთში, იმერეთში კი ორპირის ახლო მახლო საჭურისი „სკაპცები" ჩამოიყვანეს..

სამოციან წლებში ბორჩალოში ჩასახლეს ნამსახური რუსი ჯარისკაცები და ამასთანავე დაიწყეს შავი ზღვის ნაპირების კოლონიზაცია; გალიცინი მკაცრი სახალხო პოლიტიკის მიმდევარი იყო: მან მოინდომა ზედი-ზედ გადაბმულ რუსულ სოფელთა გაჩენა და ამიტომ თვალში ამოიღო მუღანლოს ველი, გაიყვანა შიგ 1898 წელს თავი სახელობის სარწყავი არხი და რუსებით მოაშენა ჩრდილო მუღანლოს ველი, გაიყვანა შიგ 1898 წელს თავის სახელობის სარწყავი არხი და რუსებით მოაშენა ჩრდილო მუღანლოს ნაწილი: ამ დროს ეკუთვნის ეგრედ წოდებულ „ამიერ კავკასიაში გადმოსახლებულთა დამხმარე საზოგადოების" დაარსებაც, იმ საზოგადოების, რომლის წესდება თავიდგან არ არჩევდა დასახმარებელთა ეროვნებას; ეს შეცდომა მალე გამოასწორეს და წესდების პირველი მუხლი იმნაირად შესცვალეს, რომ საზოგადოებას მხოლოდ რუს გადმოსახლებულთა დახმარება შეეძლო...

„როდესაც გრაფი ვარანცოვი მოევლინა თბილისის დარიჩინისფერ სასახლეს, კავკასიაში სულ 81 რუსის სოფელი ითვლებოდა; მიუხედავად მწვავე აგრარულ არეულობისა, რომელშიაც იმყოფებოდა მაშინ საქართველო, ბრწყინვალე გრაფმა სწორედ რუსთა კოლონიზაციას მიჰყო ხელი; ამ საქმის მოსაწყობათ მან ახალი საგანგებო დაწესებულებაც კი შექმნა, სახელდობრ „კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზაცია". რომლის დედამიზანი გალიცინისებურია: მთლიანი, ზედი-ზედ გადაბმული ახალშენობა, რადგან აქა-იქ შეტანილი რუსობა ითქვიფება და იკარგება .. საკოლონიზაციო ფონდისათვის ვარანცოვმა მიმართა აღმოსავლეთით, იმავ მუღანლოს და მის გარეშე ველებს, რომელიც საუკეთესო ადგილად ითვლება ნაძენძის, ბამბის მრეწველობისათვის, დასავლეთით კი,—სახელმწიფოს საზღვარზე მყოფ შავი ზღვის ნაპირს, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგროვილიყო შეწირულება თანა მგრძნობათა შორის.

მუშათა წრეების მოწოდებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. შემოწირულება გროვდებოდა, რითაც. საშვალება ეძლეოდა მათ გაზეთებს

ასე თუ ისე ეარსებნათ.

ქალალდის და მუშა ხელის გაძვირებით უარეს განსაცდელში ჩაავდო ისინი, ქალალდი გაძვირდა ერთი ხუთად და მუშა ხელი ერთი ორათ. გაძნელდა ჟურნალ გაზეთების გამოცემა ყველასათვის საზოგადოთ და მუშებისათვის კერძოთ. ამიტომ ბუნებრივია მუშათა გაზეთების ხელმძღვანელთა მოწოდება მათი მკითხველებისადმი, რომ დაეხმარონ თავიანთ გაზეთებს ნივთიერად და საშვალება მისცენ არსებობისა ასეთ მძიმე დროს. სიმპატიურია მკითხველების გამოხმაურება და დახმარება. ,,თანამედროვე აზრი‘‘ს და მისი მკითხველების მოქმედებაც ამ მხრივ საქებურია. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ გაზეთის დასახმარებელ მოწოდებაში არ უნდა იყოს ტენდეციური ცნობა, თუნდაც იგი მოწინაალმდეგე კლასის ორგანოებს შეეხებოდეს. ,,თან. აზრ‘‘ს მე 213 № ში მოთავსებულია წერილი ,,ჩვენი გაზეთი‘‘, რომელსაც ხელს აწერს თ-ლი მუშა, ბ-ნი თ-ლი მუშა სხვათაშორის ამბობს: „მოგეხსენებათ, ბურჟუაზიული გაზეთების ნივთიერი მდგომარეობა შეურყეველია, სუბსიდიებით, და სხვა და სხვა წყაროებით უზრუნველყოფილია‘‘ო. ჯერ ერთი ასეთ ქარტეხილის დროს, როდესაც ინინგრევიან სახელმწიფონი, ნადგურდებიან ქალაქები და სოფლები, ძირს ემხობიან სამეფონი და ძრწოლით ილტვიან მეფენი, განა გაზეთების მდგომარეობა (თუნდა ბურჟუაზიულისაც) ,,შეურყეველი‘‘ იქნება? ,,თან. აზრმა‘‘ და მისმა თანამშრომელმა თ-ლი მუშამ კარგათ უნდა იცოდენ, რომ ყველა მეომარ და ზოგიერთ ნეიტრალურ სახელმწიფოშიაც კი აურაცხელი ჟურნალ გაზეთები დაიხურა უსახსრობისა გამო და იმ აურაცხელ ჟურნალ გაზეთების რიცხვის 80% მაინც უსათუოთ ბურჟუაზიული იქნებოდა

რაც შეეხება ,,ბურჟუაზიულ გაზეთების უზრუნველყოფას სხვადასხვა სუფსიდიებით და წყაროებით‘‘, თუ ბ-ნი თ ლი მუშა ქართულ ჟურნალ გაზეთებს გულისხმობს უნდა აღვნიშნოთ რომ ამ მხრივ არც ერთი ქართული ჟურნალგაზეთი არ არის „უზრუნველყოფილი“. კარგი კი იქნებოდა ქართველი საზოგადოება ისე ეხმარებოდეს ჩვენ „ბურჟუაზიულ“ გაზეთებს, როგორც ესა ჰგონია „თანამედროვე აზრს“ და მის თანამშრომელს.

# ახალი ამბავი.

რედაქტორის პასუხის გებაში მიცემა. ჩვენი გაზეთის რედაქტორი ია ცინცაძე, ქალაქ ფოთის პოლიცმეისტერმა დიფამაციისათვის. კანონის 1039 მუხლის ძალით პასუხის გებაში მისცა. პასუხის გებაში მიცემა გამოწვეულია იმ წერილით, რომელიც მოთავსებული იყო „სამშობლოს“ 172 ნომერში და ეხებოდა ხეტყის მრეწველ ი. ჰყონიას მოტაცებას ქ. ფოთში. საქმეს გაარჩევს ქუთაისის საოლქო სასამართლო 11 ნოემბერს.

✦ ქ. ვენაში, ს. დემოკრატმა ფრიდრიხ ადლერმა, მოჰკლა ავსტრიის პრემიერი შტიურკი.

✦ ორშაბათს ქალაქის საბჭოს სხდომა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შემდგარა

✦ ამ ჟამათ ქუთაისში შაქრის ნაკლებობაა, ხალხი აუარებელი აწყდება ქალაქის გამგეობას მაგრამ უშაქროთ უკანვე ბრუნდება. გუშინ ქალაქის გამგეობამ გადასცა მომხ. საზოგადოება, „კოოპერაციის“ გასაყიდად „გაჭირვების დღისათვის“ შემონახული უკანასკნელი ვაგონი თავი შაქარი, 600 ფუთი. „კოოპერაცია“ დღეიდან შეუდგება შაქრის გაყიდვას, თითო პირს შაქარს მიჰყიდიან არა უმეტეს 3—5 გირვანქისა.

✦ ქუთაისის გუბერნიაში 1—ლ ოქტომბრამდი შემდეგი გადამდებ სენიანი ავათმყოფები იყვენ, ქუთაისში: საოფლიანი 23. დიზინტერიიანი 5, ხუნაგიანი 2. ქუნთრუშიანი 4, როჟიანი 2, ქალაქ ფოთში. ქუნთრუშიანი 6 და საოფლიანი 6. ქუთაისის მაზრაში: საოფლიანი 29,3, დიზინტერიიანი შორაპნის მაზრაში: საოფლიანი 88, ქუნთრუშიანი 4, როჟიანი 1. ზუგდიდის მაზრაში: საოფლიანი 7, ქუნთრუშიანი 3, სენაკის მაზრაში. საოფლიანი 13, დიზინტერიიანი 8, ოზურგეთის მაზრაში: საოფლიანი 8. დეზინტერიიანი 19, რაჭის მაზრაში: საოფლიანი 3, ქუნთრუშიანი 18 და დიზინტერიიანი.

✦ რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული, დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ წიგნი სუფთათაა გამოცემული, შემკულია შესაფერი სურათებით, 80 გვერდია და ღირს 1 მ. და 10 კ.

✦ რადგანაც, ამ ჟამათ თამბაქოს ოსმალეთიდან და ბულგარეთიდან შემოტანა შეუძლებელია, ამის გამო თამბაქოს ფასმა შესამჩნევად აიწია. წინეთ თუ ათათ ან ოც მანეთათ ფასობდა ფუთი, ეხლა ის 46 აგანეთამდი ავიდა.

✦ სურსათ სანოვაგის საწყობებისათვის, ბათუმის ქალაქთა კავშირის კომიტეტს მოუთხოვია 100,000 მანეთი.

✦ ქალაქის სანიტარულმა კომისიამ 8 ოქტომბერს დაათვალიერა მიხეილის ვექილების კათოლიკების ქუჩები და მწვანე ბაზარი. 9 ოქტომბერს მესხეთის, ორპირის, თბილისის და გიმნაზიის ქუჩები. დახურეს თითო დღე და ღამით მრავალი მეთორნეები, სათონეები, საკანდიტეროები, სასტუმროები და „რესტორანები,“ რომელთაც არ ქონდათ დამზადებული გადადუღებული წყალი და უსუფთაობა აღმოაჩდათ აგრეთვე მწვანე ბაზარზე და სხ. ბევრ მეხილეს გადუყარეს დამპალი ხილი და მწვანილეულობა.

### თფილისი

— რჟევსკის ავადმყოფობა. თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი რჟევსკი, რომელმაც ამას წინად თბილისში მოხსენება წაიკითხა საჯაროდ საერობო რეფორმების შესახებ ამიერ კავკასიაში, მძიმედ ავად გამხდარა საოფლის ხურვებით.

— ყოვლ. სამღ. ანტონი ეპ. გორისა ინიშნება პეტროგრადის ეპარხიაში გდოვის ქორ-ეპისკოპოსად.

— ყაჩაღებთან ბრძოლა. ამ დღეებში თბილისის გუბერნატორის მიერ მოწვეულ იქნება თბილისში საგანგებო თათბირი ყაჩაღების წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებაზე მოსალაპარაკებლად. როგორც ამბობენ, ასეთივე თათბირები გაიმართება თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებშიაც.

### სოფლად

✦ ს. კაცხში, ვაჭარ ჩიხელაძეს შეუცვივდენ 3 შეიარაღებული პირები, მათ სდომებიათ ჩიხელაძის მოკვლა, მაგრამ ჩიხელაძეს მოუსწრია დამალვა.

✦ ს. ხოვლეში (გორის მაზრა) საქონლის ჭირი გაჩნდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა გაჭირვებულ გლეხებს.

✦ სოფ. პრივოლნოეში, (ბორჩალოს მაზრა) ტყეში მომუშავე მუშებს, რომლებთან ქალებიც მუშაობდენ—თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო, ვაჟები იქვე ხეზე მიაკრეს, ხოლო ქალები გაირეკეს სადღაც, შემდეგ კი ნამუს ახდილნი უკანვე დააბრუნეს.

# ლექცია ხოლერის შესახებ,

## წაკითხული იქიმის ვ. წერეთლის მიერ 8 ოქტომბერს.

მაგრამ ხშირად წინამორბედ ხანას თან მისდევს ხოლერის ნამდვილი ნიშნები: ხშირი ფაღარათი (ათჯერ-ოცჯერ დღეში) და რწყევა.

როდესაც ავადმყოფს მოარული სუბუქად ეკიდება, ამ გვარ მოარულს პატარა ხოლერას უწოდებენ. რომელიც, დაახლოებით, ერთის ან ორი კვირის განმავლობაში გასტანს ხოლმე დ რომლისგანაც ავადმყოფი ხშირი ფაღარათისა დ რწყევისა გამო ძლიერ სუსტდება, თუმცა ბოლოს მაინც იკურნება.

როდესაც ხოლერა ავადმყოფს ძლიერ მოეკიდება, მაშინ კი ხანმოკლე (1—3 დღის) წინამორბედი ნიშნების შემდეგ, რომელნიც ზევით ვახსენეთ, უცებ აუტყდება საშინელი ფაღარათი და რწყევა, იმავე დროს გააცივებს, საშინლად დაასუსტებს და რამდენადმე ცნობას დაუკარგავს. განავალი ყოველი გარეთ გასვლის დროს ერთი ჩაის ჭიქის შეცულობას უდრის. ხშირსა და წყლიან განავალს მალე ხშირი რწყევაც ზედ ერთვის. ავადმყოფს ჭამის მადა ეკარგება, საშინლად სწყურია, ენა ხმელი და ხაოიანი აქვს, მუცელი ხან გაპტყელებული და რბილი, ხან ჩავარდნილი და გაქვავებული ჭიპის გარემო უხურს.

გული ჩქარა უცემს, და თანდათან უსუსტდება, მაჯის ცემა ჩქარი და სუსტი აქვს, ხანდახან მაჯა თითქმის სრულიად იკარგება.

სისხლის ტრიალის შეფერხების გამო პირი და ხელფეხი უცივდება (35/° მდის ჩამოდის), — თუმცა უკანა წელში სიცხე ხშირად 39/°-მდის ადის, — ულურჯდება, ტუჩები თითქმის უშავდება, თვალები და ლოყები ჩაუვარდება, კანი უნაოჭდება, ხმა მიხრწნილი და მიღნავებული შეექმნება, სუნთქმა ზერელი და გაძნელებული, ყურადღებას აღარაფერს აქცევს (აპატია) და რამდენადმე ცნობა ეკარგება.

იმავე დროს ხშირად მყესები (მუსკულები) ეკრუნჩხება მეტადრე წვივების კუნთები, ფეხების თითების, თეძოებისა და მკლავების). კრუნჩხვა 5 წამს გრძელდება, მოკლე ხანს გადავარდება და კვლავ განმეორდება ხოლმე.

შარდი ან ძლიერ ცოტაა ან სულ აღარ არის. ამ ხანაში ავადმყოფი კვდება ჩვეულებრივ ერთს დღეზე უფრო ადრე, ხან პირველ სამ საათში, ხან კი მეორე დღეს. ხან კი ამ ხანის ბოლოს ავადმყოფი მოიკეთებს, რწყევა გადუვარდება, ფაღარათი კლებულობს, განავალი თანდათან ჩვეულებრივს უახლოვდება, შარდი თანდათან მატულობს და ავადმყოფი 1—2 კვირის შემდეგ რჩება.

ხან კი გამოკეთებულ ავადმყოფს სასიკვდილო რწყევა და ფაღარათი უბრუნდება ან ეგრეთწოდებული ტიფოიდი (ტიფის მსგავსი მდგომარეობა) უჩნდება, რომელსაც, აგრეთვე, შეიძლება, სიკვდილი მოჰყვეს.

ამ სენისაგან გარდაცვლილებს [illegible] ანატომიურმა ძიებამ [illegible] ბის მოწამლვის ნიშნები აღმოაჩინა.

აღვნიშნავთ აქ მხოლოდ წელების მდგომარეობას.

ავადმყოფის განავალი პირველად მოყვითანოა, მაგრამ მალე ნაღველი აღარ ერთვის და წყლისებურია და ცოტათი მღვრიე, რადგან შიგ აუარებელი ვიბრიონი და წყლების შინაგანი გარსის უჯრედია.

ნარწყევშიაც არიან ვიბრიონები, თუმცა კუჭის წვენის ზემოქმედებით დასუსტებულნი.

წელები სისხლმეტობისაგან და სისხლის გამოთხევისაგან მათს შინაგან გარსში—წითურია. წელების ჯირკვლები გასივებული არიან და შინაგანი გარსის უჯრედები ბევრგან მოცილებული გარსისაგან.

თუ კაცს წელების შინაგანი გარსის უჯრედები მთელი აქვს, კიდევაც რომ გამრავლდენ ხოლერის ვიირიონები მისი წელების შეცულობაში, ხოლერას ვერ წარმოშობენ.

და ხოლერის ნამდვილი ნიშნები მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როდესაც ვიბრიონები ხსენებული გარსის შინაგან უჯრედებში შედიან. ეს უჯრედები კვდებიან და სცილდებიან გარსს; ამ უჯრედებს ქვეშ ეგრეთწოდებული ლიმფის—ნაპობნი არიან, საიდანაც ლიმფა, ე. ი. ერთგვარი წვენი ცხოველისა, შედის ლიმფის მილებში და იქიდან სისხლს ერთვის. ხსენებულს ლიმფის ნაპობებში წარმოობს ბრძოლა ავადმყოფის სხეულსა და ხოლერის ვიბრიონებს შორის. ამ ნაპობებში ბლომად იკრიბებიან სისხლის მილებიდან გამოსული თეთრი ბურთები (ლეიკოციტები), რომელნიც ყლაპავენ ვიბრიონებს, მაგრამ ვერ ინელებენ და თვითონ კვდებიან. მკვდარი ლეიკოციტი გამოათხევს ერთგვარ საფუარს (კომპლემენტს), რომელიც ადნობს ვიბრიონებს. მაგრამ მარტო ეს საფუარი ვერაფერს ვერ იქმს, თუ არ შეუერთდა მეორეგვარ ნივთიერებას (ამბოცეპტორს), რომელსაც წელების უჯრედები და თვით ლეიკოციტები ვიბრიონების ზემოქმედების გამო გამოათხოვენ. ამბოცეპტორი შეიერთებს კომპლემენტს, შეუერთდება ვიბრიონსა და გაადნობს მას. გამდნარი ვიბრიონების ნივთიერება კი შედის ლიმფის მილებში, იქიდან სისხლში და სწამლავს მთელ სხეულს. ამ მოწამლვისაგან იშობება ზევით აღწერილი რწყევა, ფაღარათი და ხოლერის ხვა ნიშნები.

ხოლერის გამოცნობა უმთავრესად მიკროსკოპიული გამოძიებით შეიძლება.

როგორ, რა გზით გადაედება ხოლერა კაცს?

უმთავრესად სასმელი წყლის საშუალობით. თუ ავადმყოფების განავალი სასმელი

---

ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს და სტრატეგიულიც.

„შედეგი გრაფ ვარანცოვის ათის წლის საკოლონიზაციო პოლიტიკისა საკმაო გულ-სრულობით არის მოხსენებული 1916 წლის ოფიციალ „კავკასიის კალენდარში“: გადმოსახლებისათვის დამზადებული აიწაწყალი ორი ჯერისაა: პირველი ჯერისაა მუღანლოს და მილის ველი, სივრცით 643.172 დესეტინამდე; მეორე ჯერისაა შირაქის, შირვანის, აჯინაურის, სარდაბადის და ჯეირან ჭოლის ველთა საზამთრო საბალახოები, სულ 8000 ათას დესეტინამდე. შავი ზღვის გუბერნიიდან საკოლონიზაციოდ გამოყოფილია უკვე მთელი ერთი მეშვიდედი—100 ათასი დესეტინა და განზრახულია კიდევ 50 ათასის მიმატება; ამას გარდა აქ კიდევ 350 ათასი დესეტინა სახელმწიფო მიწა რჩება, რომელიც მეორე ჯერის ფონდს შეადგენს.

„1908 წლამდის, სანამ კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზაცია“ დაარსდებოდა, საკოლონიზაციო ფონდი 258. ათს.580 დესეტინას უდრიდა; 1908—1915 წლების განმავლობაში კი 285.287 დესეტინა მიუმატიათ, რაიც 50.534 კაცის ხვედრია. სოხუმის ოლქში, აფხაზეთში, გაუმიჯნიათ 6.518 კაცის ხვედრი, იმერეთში 445, აჭარაში— 273 და ქართლ-კახეთში—3.263; მთლად 1915 წლის დაწყებამდის გამოუყვიათ გადმოსახლებისათვის 543 867 დესეტინა, 80.786 კაცისათვის; აქედან მკვიდრ რუს მცხოვრებთათვის („სტაროჟილი“) გადაუციათ 1349 წილი. ახლად ჩამოსულ რუს გადმოსახლებულთათვის კი გადაუდვიათ 63 697 მათგან 44.304 კაცი ამ ჟამად უკვე დასახლებულა. ამ რიცხვიდან 10.892 კაცი 1908 წლამდის ჩასახლებულა და 33.412 კი 1908—1914 წელთა განმავლობაში.

„ამგვარად, გრაფ ვარანცოვის მიერ მოწყობილ საკოლონიზაციოს ორგანიზაციის წყალობით მარტო ამ უკანასკნელ ექვს წელიწადს ჩამოსახლებულა 33.412 მამაკაცი რუსი, ანუ 66 ათასზე მეტი ორივე სქესისა...

„ვარანცოვ დაშკოვის მეფის ნაცვლობის დროს რუს იმიგრანტთა რიცხვის ერთი ოთხად გამრავლება მით უნდა აიხსნას, რომ გრაფი „განსაკუთრებულ მზრუნველობას“ იჩენდა ახალმოსახლეების საჭიროებათა დასაურვებლად... ტყის გაჩეხა, გაკორდებული მიწის გაწმენდა, უწყინარი ბინის და სამეურნეო შენობათა აგება—მეტად საძნელოა; საზოგადოდ, უცხო ჰავის, მიწის და მცენარეულობის შეუჩვეველ პირობებში მეურნეობას მუდამ მარცხი თან სდევს „მთავრობის დაუხმარებლად გადმოსახლებულნი ვერ გაუძლებდნენ ახალბინადრობის მძიმე პირობებს“, და აი ამიტომაც ვარანცოვის მიერ დაარსებული საკოლონიზაციო მართველობა ფულს არ ჰზოგავს რუს იმიგრანტთა ხელის შესწყობად. მარტოდ სახლების მოსაწყობად ამ შვიდ წელიწადში დაურიგებიათ 985.570 მანათი. არ დანანებია მთავრობას არც საკუთარი ხარჯით გზების გაყვანა: უკანასკნელ ცხრა წლის განმავლობაში 1.126.142 მანათი მას გაუღია მხოლოდ შავი ზღვის პირის გზისთვის.. ასევე უხვად იხარჯება სახელმწიფო ფული გადმოსახლებულთა სულიერ საჭიროებათა დასაურვებლად. სკოლების და ეკლესიების საშენებლად ამ ექვს წელიწადში 586 443 მ. გაუღიათ... გარდა ამისა მთავრობავე აწვდიდა იმიგრანტებს მელიორიზაციისათვის, აგრონომიისათვის და აგრეთვე მრეწველობისათვის საჭირო საშუალებას: წისქვილები, ბამბის საჩეჩი და ყველის შემადედებელი ქარხნებიც კი გაუწყვიათ მათთვის...

„მაგრამ ყველაზე უფრო ძვირათ რუსეთის სალაროს უზის გადმოსახლებულთა ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა; სამედიცინოდ, სწორედ საკოლონიზაციოდ დანიშნულ შავი ზღვის პირას და მუღანლოში ბატონობს რუსი ჯარისკაცების და იმიგრანტების მუსრის გამვლევი მალარია,—ჩვენებური დამპალი ციება; რუსის ტყირპი და ღვიძლი ვერ იტანს „უქმურს“ ისე იოლად როგორც, მაგალითად, მეგრელისა ან იტალიელისა; სტატისტიკურ ცნობებით, კავკასიური მალარიით ავადმყოფთა და მიცვალებულთა სამ მეოთხედს სწორედ რუსობა შეადგენს. ამიტომ საკოლონიზაციო მართველობის ფინანსიურ ძალღონის მეტი წილი სწორედ მალარიას ეწირება; ეს ხარჯი წლითი წლობით იზრდება: თუ 1908 წელს იგი 67. 228 მანეთს უდრიდა, 1912 წელს უკვე 202 500 მან., 1914 წელს კი 322.938 მანეთათ გადაქცეულა; სულ ამ შვიდ წელს 1.159.431 მანეთი დახარჯულა... ამ დროის განმავლობაში ავადმყოფ მალარიკებს 268.549 ჯერ მიუმართავთ ექიმებისათვის... 1912 წლიდან კავკასიის საკოლონიზაციო მმართველობას ეხმარება ცნობილი პიროგოვის სახელობის საექიმო საზოგადოების სამალარიო კომისია, რომელმაც საგანგებო რაზმებიც მოაწყო შავი ზღვის პირ და მუღანლოს „უქმურის“ გამოსაკვლევად და დასაძლევად, მაგრამ მალარია მაინც ძველებურად ბატონობს—მის მოსასპობად მილიონებიც კი არაა საკმარისი.

„უცხოელთა იმიგრაცია მწვავედ ეხება ქართველთა ეროვნულ ინტერესს, რადგან თვით „კავკასიის გადმოსახლებულთა ორგანიზაციის“ მოხსენებით, საკოლონიზაციო ფონდის შექმნის დროს იმას არა სჯიან, თუ რანაირად გადაწნულია სახაზინო მიწების ბედთან მკვიდრ მცხოვრებთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა... საქართველოში „თავისუფალი“ მიწას რა უნდა, როდესაც თვით ქართველი გლეხობა მეტისმეტად მამულნაკლებია და უმიწაწყლო; იმერეთში მიწის სივიწროვით დახუთულია მიწის მომქმედთა ერთი მესამედი... ახალ ჩამოსახლებულთ ექვსი და შვიდი დესეტინა ურიგდება, ამერეთის და იმერეთის გლეხს კი, ოფიციალი სტატისტიკით ორი დესეტინა სახნავიც არა აქვს და ამ სახნავში ნაანგარიშევია გზები, ქვიანი ადგილი, მიჯნები, ღელეები... გამრავლებული და პარცელიაციით შეწუხებული ქართველი გლეხობა დიდი ხნის მოწყობილი იქნებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს განაპირა არემარეში, რომ ამ ბუნებრივ ემიგრაციას წინ პოლიტიკური პირობები არ ეღობებოდნენ... შავი ზღვის პირის მიწები ქართველებს იჯარითაც კი არ ეძლევა; ვინც უკვე ჩასახლდა, იმათ ძალით ჰყრიან ადგილიდან. ასე აჰყარეს აბხაზეთში, სოხუმის ახლო, ფარნაუთში და დალის ხეობაში ჩასახლებული მეგრელები და სვანები... ასევეა დაცული მკვიდრთა ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მეორე ჯერის საკოლონიზაციო ფონდისათვის შირაქის ველი ამოუღიათ თვალში, ის ველი, რომელიც ძველადგანვე ქიზიყელთა და თუშთა სახნავ-სათესი და ჯოგ-ფარის საძოვარია.

„საზოგადოდ“ „თავისუფალი“ მიწების საკოლონიზაციოდ გარდადება შეუწყნარებელია, სანამ საერთო გამიჯვნა არ დასრულებულა, თორემ ახლა ნახევარზე მეტი მიწა საცილობელ საგანს შეადგენს... მაგრამ რუსთა იმიგრაციაში ხომ პოლიტიკური მოტივი სჭარბობს... როდესაც უწინდელ პეტერბურღში სახაზინო გლეხთა ცხოვრების მოსაწყობად საგანგებო კომისიის მუშაობა სწარმოებდა, მიწათმოქმედების მინისტრმა პირდაპირ განაცხადა: „ამიერ კავკასიაში რუსთა კოლონიზაციის დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა. მოგვარდეს, იგი უფრო წინა რიგში უნდა დავაყენოთ, ვიდრე მკვიდრ მცხოვრებთა მიწით უზრუნველყოფა“...

ამგვარად, საკოლონიზაციო ორგანიზაციის და აგრეთვე სახელმწიფო საგლეხო ბანკის მიერ შეკრებილი მიწის ფონდი დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში დაკარგულია ქართველი გლეხისათვის... შესაძლოა, ომის დასრულებისას, მისი მცირე ნაწილი მაინც დაურიგონ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ქართველ ვეტერანებს, მაგრამ ჯერ ხნობით ამერეთ-იმერეთის გლეხთა იმიგრაცია მხოლოდ ქართველთა ეროვნულ კაპიტალის მოქმედებაზე დამოკიდებული“.

„საქ.“

მდინარის სათავეში იკრიბება, ამგვარი მდინარის წყლის სმა საშიშარია ხოლერის გადადების მხრით.

საშიშარია აგრეთვე ჭის წყალი, თუ ფეხისადგილის უცემენტო ორმო ახლოს არის: ამგვარი ორმოდან წვიმის წყალს სიბინძურე ადვილად შეაქვს ახლობელ ჭაში.

ხოლერის ვიბრიონები გადაედება კაცს კაცისაგან აგრეთვე, როდესაც ავადმყოფის ოთახში კარგადმყოფები არიან.

მეტადრე, ექიმები და მომვლელები— როდესაც თადარიგს არ იჭერენ—არიან საშიშარ მდგომარეობაში

საშიშარი არიან ხოლერის გავრცელების მხრით აგრეთვე ამ სენისაგან განკურნებულნი. ჩვეულებრივ მათი განავალი 14 დღის განმავლობაში კიდევ შეიცავს ბაცილებს, ხან კი ორი თვის განმავლობაშიაც.

ხშირად კარგადმყოფების განავალშიაც კი არიან ხოლერის ბაცილები და, მაშასადამე, ისინიც სთესვენ ამ სენს.

საშიშარია აგრეთვე რძე, რადგან გამყიდველები შიგ ხოლერის ვიბრიონებიან წყალს ურევენ.

ქუთაისში ხოლერა უმთავრესად რიონის საშუალობით ვრცელდება.

ამიტომ, არ უნდა სვათ აუდუღარი რიონის ან (საეჭვო ჭის) წყალი და არ უნდა გარეცხოთ ამგვარი წყლით ხილი ან მწვანილი.

საჭმელს უნდა გადააფაროთ თხელი დოლბანდი, რომ ბუზები, ხოლერით ავადმყოფის განავალში ამოსვრილნი, ზედ არ დააჯდენ.

აუდუღარი რძე არ უნდა სვათ.

ხოლერით ავადმყოფი უნდა გაამარტოვოთ. მას ექიმებისა და მომვლელების მეტი არავინ უნდა ეკარებოდეს. სჯობია მისი გადაყვანა სამკურნალოში, სადაც ხოლერის საწინააღმდეგო ყოველგვარი საშუალება მოიპოება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხისადგილების დეზინფექციას კირწყლით (ერთს წილ ქვაკირს შეურიეთ ერთი წილი წყალი და შემდეგ კიდევ ერთი წილი წყალი) და გაუწმენდელი კარბოლის სიმჟავის ხუთპროცენტიანი ხსნილით. კარბოლის სიმჟავის ხსნილით ფეხის დასადგმელი და დასაჯდომელი უნდა გარეცხოთ, ორმოში კი კირწყალი უნდა ჩაასხათ. ფეხისადგილს დღეში რამდენჯერმე სჭირდება დეზინფექცია.

ხოლერიანის საცვლები კარბოლის ხუთპროცენტიან ხსნილში უნდა ჩასდვათ ერთი დღედალამე.

ავადმყოფის სასმელ-საჭმლის ჭურჭელს დეზინფექცია სჭირდება. ქვეშსაგების, ფეხსაცმლის, ქურქის დეზინფექცია მხოლოდ ორთქლით შეიძლება.

მომვლელმა ხშირად თავის ხელებს დეზინფექცია უნდა უქნას და ხოლერიანის ოთახში არ უნდა სვას და არ უნდა სჭამოს.

არის კიდევ ერთი საშუალება, რომ ხოლერა კაცს არ შეხვდეს ან, რომ შეხვდეს, ადვილად მოიხადოს: აცრა. კაცს აუცრიან კან ქვეშ ხოლერის ვიბრიონების ახალშენის განსაზღვრულ რაოდენობას (ორ მილიგრამს, ბულიონის ერთს კუბითს სანტიმეტრში გახსნილს) და, როდესაც ამ აცრისაგან გამოწვეულ სისუსტეს მოიხდის, კვლავ აუცრიან ორჯერ მეტ რაოდენობას. 10—24 დღის შემდეგ კაცი შეიძენს ეგრეთწოდებულ შეუვალობას, ან იმეუნიტეტს, ხოლერის წინააღმდეგ. და ეს შეუვალობა, დაახლოებით 15 თვემდის შერჩება.

მეორე მხრით, როდესაც კაცს უკვე ხოლერა აქვს, შეუშვებენ კან ქვეშ ეგრეთწოდებულ სამკურნალო შრატს. ამ შრატს ცხენის სისხლისაგან ამზადებენ (შურუპოვის შრატი). ცხენს აუცრიან ვიბრიონებს განმეორებით რამდენჯერმე, ვიდრე ამ სენის მოწამვლის წინააღმდეგ შეუვალობას არ მოიპოებს. მაშინ გაარითმევენ სისხლსა, რომელსაც სისხლის ბურთებისა და ფიბრინისაგან (შეკრული ცილისაგან) განათავისუფლებენ. ამგვარად მომზადებული შრატი—განმკურნებელი საშუალებაა.

არის კიდევ კარრიერისა და ტამარკინის სამკურნალო შრატი.

მაგრამ ამგვარი შრატით მკურნალობამ ჯერ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო.

მეორე მხრით, საუკეთესო სამკურნალო საშუალებად ითვლება ფიზიოლოგიური მარილხსნილის კან ქვეშ შეშვება (7 გრამმი მარილი, გახსნილი 1000 გრამ თბილ წყალში). რადგან ხოლერა უმთავრესად მით არის საშიშარი, რომ, ერთი მხრით, ავადმყოფის სისხლს წყალი აკლდება, სისხლი სქელდება, გულს მუშაობა უძნელდება და სხეული სისხლის ტრიალის შეფერხებისაგან იწამლება, მეორე მხრით, ხოლერის ვიბრიონებისაგან წარმოშობილი საწამლავის ხსნილი ძლიერ მოქმედობს, და სისხლში მარილხსნილის შეშვება სისხლს დაკარგულ წყალს უბრუნებს, გულს მუშაობას უადვილებს, სისხლის ტრიალს აღადგენს და, მაშასადამე, სისხლის ტრიალის განმკურნებელ ზემოქ ედებას თანშეეწევა.

საჭიროა ამისთვის იმავე დროს გარეგან ორგანოებში სისხლის ტრიალის განსაახლებლად თბილი ვანნები, კანის ხეხვა მაგარი ჯაგაროთი, მაუდით, სხეულის გათბობა ხელოვნური სათბობებით, გულის გალონიერება კან ქვეშ კამფორის შეშვებითა და სხ. და, რადგან ყველა ეს საშუალება მხოლოდ კარგად მოწყობილ სამკურნალოში მოიპოება, უმჯობესია, ავადმყოფი, რაც შეიძლება ადრე, სამკურნალოში გადაიყვანოთ.

ვასილ წერეთელი.

## მეც მომისმინეთ!

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტის, ბ-ნი გიორგი მუმლაძის ჩემ მიერ ხელით შეურაცხყოფამ პრესისა და საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ეს ასეც უნდა მომხდარიყო; თვით მეც საჯაროდ ვაღიარებ ჩემ საქციელის უკულტურობას და საზოგადოების წინაშე გულწრფელ ბოდიშს ვიხდი. დიდათ ვწუხვარ, რომ უმართებულო საქმე ჩავიდინე, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ვერ ავიტანე ადამიანის პიროვნების უკიდურესად შემაცდენელი **ჯაშუშის** სახელი. ასეთ დაუმსახურებელ სახელის წოდებას ვერ ავიტანდი კერძო მუსაიფშიაც კი და მით უმეტეს ვერ ავიტანე გაზეთით წარმოთქმული, ამიტომ უკიდურესი აღელვების დროს იძულებული გავხდი თუმც უკულტურო საშუალებით, მაგრამ მაინც დამეცვა თავი, შური მეძია.

ვიხდი რა განმეორებით ბოდიშს, (რასაკვირველია, არა ბ-ნ მუმლაძის წინაშე) უმორჩილესი თხოვნით მივმართავ გაზეთ „საქართველოს“, „სამშობლოს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციებს აღადგინონ სრული სიმართლე—ჭეშმარიტების გულისათვის დანიშნონ თვიანთ რედაქციებიდან თითო რწმუნებული, რომელიც გამოიძიებს, მართლა დავიმსახურე თუ არა ის ბრალდებანი, რასაც მე მაწერს ბ-ნი მუმლაძე გაზ. „სამშობლოში“, უკეთუ კომისია დამნაშავეთ მიცნობს, მზათ ვარ ჩემს თავს მევე მივუსაჯო ღირსეული სასჯელი, უკეთუ კომისია მიცნობს ინტრიგისა და ჭორიკანობის მსხვერპლათ, მაშინ იმედია პრესაც და საზოგადოებაც ჩემი საქციელის გამო ბოდიშს იკმარებს. გავმტყუნდები, თუ გავმართლდები, ყოველივე ხარჯს, რაც კომისიას საქმის გამოძიებაზედ მოუვა, ვკისრულობ, მე ვითხოვ გამასამართლოთ, ამას მოითხოვს ბეჭვდითი სიტყვის პატივისცემაც.

ღრმად პატივისცემით

ალმასხან გ. კალანდაძე*).

*) რედაქცია სიამოვნებით უთმობს ადგილს ბ.ბ-ნ ალმასხან კალანდაძისა და დიმიტრი მურვანიძის წერილებს, როცა ჩვენ ვბეჭდავდით ბ-ნ „ა“-ს წერილებს (რომლის ფსევდონიმიც თვით ბ-ნ ალ. კალანდაძემ გამოამჟღავნა თავისის უდიერის საქციელით) ჩვენ აზრად არა გვქონდა ვისიმე პირადობის შეურაცყოფა. ჩვენ გვინდოდა ცოცხალის მაგალითებით აღგვენიშნა ის „ნათლიმამობა და შენ-ჩემობა-ჯგუფობრიობა“ რომელიც ჩვენ საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში სამწუხაროდ არსებობს და იარსებებს კიდეც თუ პირდაპირის იერიშებით არ ამოვფხვრით მას ხალხისა და პიროვნებათა საბედნიეროდ.

როცა ჩვენ ვსტამბავდით ბ-ნ „ა“-ს წერილებს, ჩვენ აზრადა გვქონდა ერთხელ კიდევ დაგვენახვებინა მკითხველებისათვის ის სიყალბე და ორპირობა, რომელიც შეგვძლენა ჩვენ ასი წლის უკულმართმა პოლიტიკამ და რომელსაც ხშირად ვფარავთ ხოლმე მაღალ მაღალის ფრაზებითა და ამა თუ იმ ჯგუფის წევრობით!...

როდესაც ჩვენ ბ-ნ „ა“-ს წერილებს ვბეჭდავდით, გვინდოდა საქვეყნოდ გამოგვეტანა ის სარკე, რომელიც ბევრს ჩვენთაგანს თავის სახეს დაანახვებდა და გაასწორებდა. შეუმცდარი ქვეყნად არავინ არის და ბ-ნ კალანდაძეების შეცდომაც ყოველთვის გამოსწორდებოდა ჯოხითაც რომ არ გამასპინძლებოდენ კალმის კაცს...

ამისდამიუხედავად ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნ კალანდაძის წინადადებას და როცა სხვა რედაქციები დანიშვნენ თავის კაცებს ჩვენც სიამოვნებით გავგზავნით ჩვენს წარმომადგენელს ამ არა სასიამოვნო შემთხვევის გამოსაძიებლად და მოვიქცევით სრულიად მიუდგომლად. **რედ.**

დ. პ. გაზ. „სამშობლოს“ №№ ჩემი ნაცნობი მოამბე უდიერად ეხება ჩემს პიროვნებას და მე, როგორ მოძღვარს იზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისას, მისთან მასწორებს მე ვარ ერთი უცოდველი კაცი, მართალია დიდი შეძლების პატრონი არა ვარ, მაგრამ არც იმდენზე ღარიბი, ვარ, რომ ახალგაზრდობაში მონაგარი მოხუცების ჟამს არ მეყოს, მაგრამ თუ მაინც ვკისრე მოძღვრობა, ვკისრე წევრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ და მგონია დღემდე არც რაიმე ზიანი მომიტანია და ვინც იცნობს ბანკის საქმეებს და მიცნობს მეც, მისთვის „სამშობლოში“ დასტამბულ წერილებს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ სიმართლის აღსადგენად მეც ვითხოვ ბ-ნ კალანდაძის საქმესთან ჩემი „დანაშაულიც“ გამოიძიონ პატივცემულ რედაქციების რწმუნებულებმა.

პატივისცემით იზურ. სურ. ნდობის საზ. მოძღვარე დიმიტრი მურვანიძე.

## რუსეთი.

საბოლაოდ გამოირკვა, რომ სასურსათო საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადადის.

——

პურისა და სანოვაგის სიმცირეს ეხლა ნავთის სიმცირეც მიემატა რუსეთის მრავალ ქალაქში ნავთი. თითქმის სრულიად აღარ არის და თუ სადმე დარჩენილა, გირვანქა 40 კაპ. იყიდება

——

პეტროგრადის ახლო მახლო, დიდი ქარიშხალი ყოფილა ამ უკანასკნელ დღეებში, რის გამოც პეტროგრად-მოსკოვის ტელეფონი გაწყვეტილიყო. ქარიშხალს ბევრი ღარიბის სახლკარი დაუზიანებია

——

მოსკოვში ფიქრობენ, რომ სახ. სათათბიროს თავჯდომარის ამხანაგად პროტოპოპოვის ნაცვლად კადეტთა პარტიის რომელიმე თვალსაჩინო წევრს გაიყვანენ.

——

ქ. ოდესის შუაგულში გენ. გრიგორიევის სახლი სპეკულიანტთა ბუდეთ არის თურმე გადაქცეული. ამ სახლში მოთავსებულია: ბანკი, რამდენიმე საშუამავლო კანტორა და მთელ ქალაქში ცნობილი ყავახანა, სადაც ათას გვარი სპეკულიანტები, სხვადასხვა რჯულის შუამავლები და ჩარჩები იყრიდნენ ხოლმე თავს.

5 ოქტომბერს მოულოდნელად პოლიციას ჯარის დახმარებით ალყა შემოურტყამს ამ სახლისთვის და 150-ზე მეტი ჩარჩი და სპეკულიანტები დაუტუსაღებიათ. მათ აღმოაჩნდათ მრავალი გამამტყუნებელი დოკუმენტი.

## უცხოეთი.

რეიხსტაგში ახალი 12 მილიარდიან სამხედრო სესხის პროექტი შეუტანიათ.

——

მონგოლეთში ხუნხუზები კვლავ განაგრძობენ მოქმედებას და მშვიდობიან მცხოვრებლებს მოულოდნელ თავდასხმით თავზარსა სცემენ. ქ. ურგიდან იტყობინებიან მონგოლთა რაზმს რუსის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით წინ წაუწევიათ და ხუნხუზებისთვის შუაგულ მონგოლეთისაკენ დაუხევინებიათ.

——

შვეიცარიის საფედერაციო საბჭომ ცირკულიარი დაუგზავნა ქარხნებსა და სახელოსნოებს, რომ საფრანგეთსა და ინგლისში გასაზიდათ სამხედრო იარაღი და ტყვია წამალი არ დაამზადონ. ეს განკარგულება გამოწვეულია ამას წინად გერმანიასა და შვეიცარიის შუა დადებულ ხელშეკრულების ერთი მუხლისაგან, რომელიც შვეიცარიას ავალებს, რომ თუ რომელიმე საქონელი გერმანიის ნახშირსა, რკინისა, ან მანქანის შემწეობით კეთდება, არ გაზიდოს გერმანიის მოწინააღმდეგე ქვეყნებში. ზემოხსენებულ განკარგულებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია საფრანგეთში.

——

საზღვარ გარეთის გაზეთში საინტერესო ცნობებს იძლევიან ჩრდილო ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების გარშემო ატეხილ ბრძოლის შესახებ. ბრძოლა სწარმოებს ორ მოწინააღმდეგე პარტიის შორის: რესპუბლიკანელებმა წამოაყენეს იუზა, დემოკრატებმა კი ისევ ვილსონი. მდგომარეობა განსაკუთრებით იმით გართულდა, რომ აქნობამდის ძლიერი, რუზველტის მიერ დარსებული პროგრესისტთა პარტია დაიშალა და მისი ერთი ნაწილი ვილსონს მიემხრო, ხოლო მეორე იუზას. იმ შტატებში, სადაც ქალებს საარჩევრო უფლებები აქვთ მინიჭებული გამარჯვება იუზას მხარეს იქნება, როდგანაც „მებრძოლი“ ვილსონი „მშვიდობიან“ ქალებს სძულთ; რაც შეხება გერმანელებს, ერთი რამ არის მათ ქცევაში ცხადი, ისინი ერთ მხარესაც აშინებენ და მეორესაც, თუ გერმანიის სასარგებლო პოლიტიკის წარმოებას არ დაგვიპირდები შენს მოწინააღმდეგეს მივემხრობითო.

——

ბერლინში საიმპერიო ბანკის განყოფილება გაუხსნიათ. ამ განყოფილებაში მიიღებენ იმ ოქრო-ვერცხლისაგან გაკეთებულ სამკაულებს, რომელსაც მცხოვრებნი ქაღალდის ფულში გაუცვლიან მთავრობას. მთელ გერმანიაში დაურიგებიათ, ბეტმან-ჰოლვეგისა, საიმპერო ბანკის გამგე გაველშტეინისა და ბიულოვის მიერ ხელმოწერილი მოწოდება, რომელშიაც ხალხს არწმუნებენ, რომ მის მოვალეობას შეადგენს სახელმწიფოს გაჭირვებიდან გამოყვანა და ამ მიზნისთვის ოქრო ვერცხლის გაღება. გერმანული გაზეთების სიტყვით ბერლინის კანტორა ვერ აუდის ოქრო ვერცხლის მიღებას და აზრათა აქვთ ახალი კანტორის გაღება.

## ჩვენი ფოსტა.

(დ ე პ ე შ ე ბ ი*).

**ფოთიდან ქუთაისში.** „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას. ვულოცავთ ერთი წლის შესრულებას. ვიმედოვნებთ, რომ, თუ წლის თავზე უარჰყო კაპიტალიზმის არსებობა ჩვენში**), მეორე წლის თავზე უარს ჰყოფს სოციალიზმსაც!

მთელი საქართველოს არამხედარნი, არაპოლიტიკოსნი, არადემოკრატებ ბი, არამწერალნი, არასრულწლოვანნი, უვიცნი და უმეცარნი.

——

*) უადგილობის გამო ამ დეპეშას ვბეჭდავთ ჩვენი ფოსტის განყოფილებაში, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. **რედ.**

**) იხ. „ჩვენი მეგობარი“ № 177, ბ-ნ დალის წერილი.

**თბილისიდან ქუთაისში.** „ზვიგის“ რედაქციის საყურადღებოდ. ვულოცავთ „ზვიგის“ გაერთიანებას, ადიფრთოვანებული ვართ პატივცემულ გაზეთის კვეხნა-ბაქიობით [illegible] მეტს, თუმცა თა[illegible] მაგრამ ეს ანდაზა ხომ ჩინურია და არა ქართული.

ყოფილი დასელები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |


## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** საავთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)



მ. წრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოზრეიქისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან